

ბარათით მომსახურების ზოგადი პირობები

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტი საბანკო მომსახურების ზოგადი პირობების ნაწილია და წარმოადგენს სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ (ს/კ.: 205235262) მიერ სადებეტო ბარათით მომსახურების პირობებს, რომლითაც განისაზღვრება ბარათით სარგებლობის წესები, მხარეთა უფლებები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობა და ბარათით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა პირობები. სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ („ბანკი“, მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის 2013 წლის 6 აგვისტოს 590-ე განკარგულების საფუძველზე გაცემული ლიცენზიით) სათავო ოფისის მისამართია: ვჟა ფშაველას გამზირი 71, მე-III სართული, ოფისი N12, თბილისი 0186, ხოლო სერვისცენტრების შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.finca.ge; ბანკის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი - www.nbg.gov.ge. საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ბანკის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.
- 1.2. ბარათის დამზადების შესახებ განაცხადზე და/ან ბარათის და პინ-კოდის მიღების განაცხადზე ხელმოწერით პირი ადასტურებს, რომ:
 - 1.2.1. გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე ბარათით მომსახურების და ასევე საბანკო მომსახურების ზოგად პირობებს და უერთდება მათ;
 - 1.2.2. გაეცნო და ეთანხმება ბარათით მომსახურების ტარიფებს, რაც ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე;
 - 1.2.3. ბარათით მომსახურების ზოგად პირობებთან მიერთებით, წარმოიშვება სახელშეკრულებო ურთიერთობა ბანკსა და კლიენტს, ხოლო მესამე პირზე (შემდგომში - „ბარათის მოსარგებლე“) დამატებითი ბარათის გაცემის შემთხვევაში - ბანკს, კლიენტსა და ბარათის მოსარგებლეს შორის.
- 1.3. ბანკს უფლება აქვს, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ბარათით მომსახურების ზოგად პირობებში. ცვლილების შეტანამდე 30 დღით ადრე ცვლილების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.finca.ge და/ან ბანკის სერვის-ცენტრებში. შეთავაზებული ცვლილებები ჩაითვლება კლიენტის/ბარათის მოსარგებლის მიერ დადასტურებულად, თუ ცვლილების ამოქმედებამდე შეთავაზებულ პირობებზე კლიენტი/ბარათის მოსარგებლე არ განუცხადებს უარს ბანკს შეცვლილ პირობებზე. ცვლილებებზე კლიენტის/ბარათის მოსარგებლეს უარის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია, შეწყვიტოს ხელშეკრულება ცვლილებების ამოქმედების თარიღის შემდეგ.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. პლასტიკური ბარათით ოპერაციების საწარმოებლად, ბანკი უხსნის კლიენტს მულტისავალუტო ან/და კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ანგარიშს (შემდგომში - „საბარათე ანგარიში“, რომლის წარმოების წესები ასევე განისაზღვრება საბანკო მომსახურების ზოგადი პირობებით), უმზადებს პერსონიფიცირებულ სადებეტო ან/და არაპერსონიფიცირებულ ბარათ(ებ)ს („ბარათი“) და უწევს ბარათით მომსახურებას.
- 2.2. კლიენტის განცხადებით, საბარათე ანგარიშზე დასაშვებია დამატებითი ბარათის გაცემა, კლიენტის, ან მისი მოთხოვნით - მესამე პირის სახელზე (გარდა არაპერსონიფიცირებული ბარათის შემთხვევისა, რომელიც მესამე პირის სახელზე არ გაიცემა); დამატებით ბარათზე გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. ოპერაციების საწარმოებლად კლიენტს / ბარათის მოსარგებლეს გადაეცემა კლიენტის განაცხადის შესაბამისად დამზადებული ბარათი და დალუქულ კონვერტში მოთავსებული პინ-კოდი.

3. ბარათის მომსახურება

- 3.1. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი / ბარათის მოსარგებლე ბარათის დამზადებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში არ ჩაიბარებს ბარათს, მაშინ აღნიშნული ბარათი ექვემდებარება განადგურებას. ასეთ შემთხვევაში კლიენტს წინასწარ გადახდილი საბარათე ანგარიშის მომსახურების საკომისიო უკან არ დაუბრუნდება. კლიენტს აგრეთვე არ უბრუნდება წინასწარ გადახდილი საბარათე ანგარიშის მომსახურების საკომისიო, თუ მოხდება ბარათის გაუქმება მისი ვადის ამოწურვამდე. საბარათე ანგარიშზე დარჩენილი თანხების კლიენტისთვის დაბრუნება ხორციელდება მისი მოთხოვნისთანავე. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას და მისი გაუქმების / დახურვის შემთხვევაში ექვემდებარება ბანკისთვის დაბრუნებას.
- 3.2. ბარათი შეიძლება გამოყენებული იყოს იმ ბანკომატებში, პოს-ტერმინალით და სხვა ტექნიკური / ინტერნეტის საშუალებებით, ავტორიზებულ გადახდებში, სადაც დაშვებულია ვიზას ტიპის ბარათების გამოყენება. ონლაინ ოპერაცია არის ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ბანკის ან შესაბამისი საბარათე სქემის მიერ ბანკის სახელით. ავტორიზებული ტრანზაქცია გულისხმობს, ტრანზაქციის დადასტურებას პინ კოდით და/ან ბარათის უკანა მხარეს განთავსებული უსაფრთხოების კოდით და/ან ამ რეკვიზიტების ერთობლიობით, აგრეთვე

საქართველოს კანონმდებლობით, საბარათე სქემის მონაწილე პირის ან/და ბანკის დაწესებული დამატებითი უსაფრთხოების მახასიათებლებით, რაც ასევე შეიძლება ვრცელდებოდეს სხვადასხვა დისტანციურად ონლაინრეჟიმში მომსახურებაზეც.

- 3.3. საბარათე ანგარიში კლიენტს ეხსნება ლარში, დოლარში და ევროში (ან/და გარკვეულ შემთხვევებში მოთხოვნის მიხედვით კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით მხოლოდ ერთ ვალუტაში), რომელთაგან პრიორიტეტულ ვალუტას ირჩევს კლიენტი. პრიორიტეტული ვალუტის ანგარიში გულისხმობს იმას, რომ მულტისავალუტო ანგარიშზე ნაშთის შემოწმების დროს, ყველა ვალუტის ანგარიშზე არსებული ნაშთის დაჯამება ხდება პრიორიტეტულ ვალუტაში. აგრეთვე, განსხვავებულ ვალუტაში შესრულებული ტრანზაქციების თანხების დაბლოკვა მოხდება პრიორიტეტული ვალუტის ექვივალენტი თანხით. იმ შემთხვევაში თუ კლიენტს აქვს რამდენიმე ბარათი მიბმული ერთ მულტისავალუტო ანგარიშზე, პრიორიტეტული ვალუტები ვრცელდება ყველა ბარათზე. ბარათზე მიბმული დანარჩენი ვალუტის ანგარიშების პრიორიტეტების განსაზღვრა საჭიროა იმისათვის, თუ რა თანმიმდევრობით მოახდინოს ბანკმა თანხების კონვერტაცია, ტრანზაქციის ვალუტის ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის მოთხოვნით შესაძლებელია ვალუტის პრიორიტეტის ცვლილება.
- 3.4. ბანკი უფლებამოსილია, საბარათე ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტზე / ბარათის მოსარგებლეზე გაცემული ბარათ(ებ)ით ჩატარებული, აგრეთვე საგადამხდელო სისტემა VISA International-ის გავლით ბანკებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ოპერაციების ექვივალენტი სახსრები, ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გათვალისწინებულ საკომისიო მოსაკრებლებთან ერთად.
- 3.5. ტრანზაქციის და მასთან დაკავშირებული საკომისიო თანხის ჩამოჭრა მოხდება იმ ვალუტაში, რა ვალუტაშიც შეასრულებს კლიენტი ოპერაციას (ლარი, აშშ დოლარი ან ევრო). ტრანზაქციის ვალუტის ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობის შემთხვევაში მოხდება მულტისავალუტო ანგარიშებს შორის თანხების კონვერტაცია, ტრანზაქციის ვალუტის ანგარიშზე თანხის მოგროვების და ჩამოჭრის მიზნით (პრიორიტეტული ვალუტის ანგარიშების რიგითობის მიხედვით). კონვერტაცია განხორციელდება ბანკის შიდა კომერციული/საბარათე კურსით, ე.ი. ტრანზაქციის კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე ასახვის დღისთვის ბანკის მიერ საბარათე სისტემისთვის დადგენილი კომერციული კურსით, ხოლო სს ფინკა ბანკი საქართველოს ქსელის გარეთ „ვიზას“ (VISA) მიერ დაწესებული კურსით (გასათვალისწინებელია, რომ თანხის ჩამოჭრა შესაძლებელია მოხდეს კლიენტის მიერ ტრანზაქციის გატარებიდან რამოდენიმე დღის შემდგომ დაბლოკვის დროს არსებული ვიზას კურსი და ტრანზაქციის დამუშავების დღეს არსებული კურსი შესაძლებელია იყოს განსხვავებული. <https://usa.visa.com/support/consumer/travel-support/exchange-rate-calculator.html> - აღნიშნულ ვიზას კურსს, სს ფინკა ბანკის ქსელის გარეთ კონვერტაციის შემთხვევაში, ემატება ბანკის საკომისიო/ნამატი (ბანკის მოქმედ კომერციულ და საბარათე კურსებს შორის სხვაობის ოდენობით). ბანკის დაწესებულ ტარიფებზე ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე finca.ge.
- 3.6. თუ ტრანზაქციის ვალუტაში კლიენტს არ ექნება მულტისავალუტო ანგარიში, მაშინ ტრანზაქციის თანხის ჩამოჭრა მოხდება იმ ვალუტაში გახსნილი მულტისავალუტო ანგარიშიდან (ექვივალენტი თანხით), რა ვალუტაშიც ბანკი შესაბამისი საგადამხდელო სისტემისგან მიიღებს დავალებას შესრულებული ტრანზაქციის თანხის ანგარიშსწორების შესახებ (ამ შემთხვევაშიც კონვერტაციის დროს მოქმედებს იგივე 3.5 პუნქტში არსებული წესები, რაც მულტისავალუტო ანგარიშის დროს).
- 3.7. ბარათით შესრულებული ფაქტობრივი ოპერაციის თარიღი განსხვავდება საბარათე ანგარიშზე მისი ასახვის თარიღისაგან და დამოკიდებულია ტრანზაქციის შემსრულებელ ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელზე: სს ფინკა ბანკი საქართველოს პოს-ტერმინალში ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია საბარათე ანგარიშზე აისახება მომდევნო სამუშაო დღეს. ინტერნეტით შესრულებული გადახდა და სხვა ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია საბარათე ანგარიშზე აისახება შესაბამისი საგადამხდელო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების შემდეგ. აღნიშნული ტრანზაქციის დამუშავების მაქსიმალური ვადა, როგორც წესი, არის 2-180 კალენდარული დღე.
- 3.8. პირის მიერ პერსონალიზირებული ბარათის ფლობის უფლებას განსაზღვრავს ბარათზე ამოტვიფრული მისი სახელი ან ინიციალ(ებ)ი და გვარი, დატანილი ხელმოწერის ნიმუში და მაგნიტურ ზოლზე კოდირებული საიდუმლო პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდი PIN (შემდგომში „პინ-კოდი“), ასევე გადახდის დროს ბარათის უკანა მხარეს არსებული ბარათის საიდენტიფიკაციო კოდი (CVV2). პინ-კოდი წარმოადგენს პერსონალური იდენტიფიკაციის 4 ციფრიან ნომერს. არაპერსონალიზირებული ბარათის შემთხვევაში კლიენტის იდენტიფიკაცია და მითითებული ბარათის კუთვნილების დადგენა განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის და ბანკის შიდა პროცედურებით დადგენილი წესებით.
- 3.9. პინ-კოდი კონფიდენციალურია, ის მხოლოდ კლიენტისთვის / ბარათის მოსარგებლისთვის არის ცნობილი; კლიენტს / ბარათის მოსარგებლეს ევალება, დაიცავს პინ-კოდის უსაფრთხოება და საიდუმლოება. პინ-კოდის

- დავიწყების შემთხვევაში იგი აღდგენას არ ექვემდებარება, ამ შემთხვევაში კლიენტს უფლება აქვს, გადაიხადოს საკომისიო და მოითხოვოს ახალი ბარათის დამზადება.
- 3.10. ბანკომატში პინ-კოდის სამჯერ არასწორად აკრეფისას ბარათი ავტომატურად დაიბლოკება. დაბლოკვის შემთხვევაში, კლიენტი / ბარათის მოსარგებლე უნდა დაუკავშირდეს ბანკს.
 - 3.11. ბარათით მომსახურება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით, პირადად ბანკის და ბანკის სხვა პროვადერების მიერ დადგენილი მომსახურების პირობებით და ტარიფებით.
 - 3.12. კლიენტი / ბარათის მოსარგებლე უფლებამოსილია განკარგოს საბარათე ანგარიშზე არსებული თანხა, ბარათის მოხმარებასთან დაკავშირებული საკომისიოს გამოკლებით. თანხის გადახარჯვის (არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობა, რაც გულისხმობს ანგარიშზე არსებულ თანხაზე ან დაშვებული ოვერდრაფტის თანხაზე მეტი თანხის გამოყენებას) შემთხვევაში საბარათე ანგარიშზე არსებულ თანხას ასევე გამოაკლდება გადახარჯვასთან დაკავშირებული პროცენტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობის შემთხვევაში კლიენტი / ბარათის მოსარგებლე ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს დავალიანება.
 - 3.13. ითხოვს რა დამატებითი ბარათის დამზადებას მესამე პირისათვის, კლიენტი თანახმაა და უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, გადასცეს ბარათის მოსარგებლეს ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ბარათთან დაკავშირებულ ანგარიშს, იმ მოცულობით, რაც აუცილებელია დამატებითი ბარათის ჯეროვნად გამოყენებისთვის.
 - 3.14. კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი სურვილით გააუქმოს ბარათი და მოითხოვოს შესაბამის საბარათე ანგარიშზე არსებული დადებითი ნაშთი. გაუქმების შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს ბანკის წინაშე ბარათის მოქმედების პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (არსებობის შემთხვევაში) და კლიენტი ვალდებულია გადასცეს ბანკს ბარათი.
 - 3.15. კლიენტს უფლება აქვს დახუროს საბარათე მულტისავალუტო ანგარიშები, თუ აღნიშნულ ანგარიშებზე მიბმულ ყველა ბარათს გასული აქვს ვადა და ამ ბარათების ვადის გასვლიდან გასულია 40 კალენდარული დღე.
 - 3.16. შესაბამისი საბანკო პროდუქტზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოპერაციები მიღებული უქმე დღეებსა თუ არასამუშაო დროის დასრულების შემდეგ - განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.
 - 3.17. ბარათი შესაძლებელია ასევე გამოყენებული იყოს ოფლაინ ოპერაციებში – ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ბანკთან დაკავშირების გარეშე. ოფ-ლაინ/არაავტორიზებული ტრანზაქცია - გულისხმობს, ტრანზაქციას, რომელიც შესაძლოა არ არის შესრულებული/ინიცირებული კლიენტის/ბარათის მფლობელის ნებართვით და არ არის ავტორიზებული არც კლიენტის და არც მომსახურე ბანკის მიერ ან შესრულებულია კლიენტის/ბარათის მფლობელის ნებართვით, მაგრამ არც ამ შემთხვევაშია ავტორიზებული ბანკის მხრიდან. ამ ოპერაციის შედეგად, საბარათე ანგარიშზე, შესაძლებელია გაჩნდეს არასანქცირებული ოვერდრაფტი - ბანკის თანხმობის (ნებართვის) გარეშე საბარათე ანგარიშზე წარმოშობილი უარყოფითი ნაშთი (დავალიანება), გარდა ბანკის მიერ დაშვებული ოვერდრაფტისა, რომელიც კლიენტმა აუცილებლად დაუყოვნებლივ უნდა დაფაროს (წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს ასევე წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების უფლებამოსილება).
 - 3.18. ბარათის დაბლოკვა**
 - 3.18.1. ბარათის დაკარგვის, მოპარვის ან სხვა სახით კლიენტის/ბარათის მოსარგებლის სურვილის საწინააღმდეგოდ ბარათზე მფლობელობის დაკარგვის შემთხვევაში, კლიენტი/ბარათის მოსარგებლე ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და საინფორმაციო სატელეფონო (*4949 ან (99532) 2244949) სამსახურის მეშვეობით შეატყობინოს ბანკს;
 - 3.18.2. ბანკის სატელეფონო სამსახურის მეშვეობით კლიენტის იდენტიფიკაცია განხორციელდება შეთანხმებული წესით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი საკონტროლო კითხვებით;
 - 3.18.3. ბანკი ვალდებულია კლიენტის წერილობითი და/ან ზეპირი შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს ბარათის შეჩერება (ბლოკირება) ლოკალურ ან/და საერთაშორისო სტოპ-სიაში შეყვანით;
 - 3.18.4. საერთაშორისო სტოპ-სიაში შესაძლებელია მხოლოდ ვიზა კლასიკის ბარათის ჩასმა, მხოლოდ ორი კვირის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბარათის მფლობელის სურვილის მიხედვით თავიდან უნდა მოხდეს ბარათის ჩასმა საერთაშორისო სტოპ-სიაში;
 - 3.18.5. როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში ჩასმის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ კლიენტს;
 - 3.18.6. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის ჩასმა ხდება კონკრეტული რეგიონის მიხედვით;
 - 3.18.7. საერთაშორისო სტოპ-სია უზრუნველყოფს ბარათის სრულ ბლოკირებას უავტორიზაციო ტრანზაქციებისთვის; ბლოკირების განმავლობაში კლიენტი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან ბარათით განხორციელებულ არავტორიზებულ ტრანზაქციებზე;

- 3.18.8. ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში ჩასმა ხდება მხოლოდ ბარათის მფლობელის ანგარიშ(ებ)ზე შესაბამისი მომსახურების საკომისიოსათვის საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში;
- 3.18.9. არასამუშაო საათებში მიღებული განაცხადი ბარათის საერთაშორისო სტოპ სიაში ჩასმაზე ბანკის მიერ დამუშავდება მომდევნო სამუშაო დღიდან. ამავე დროს ვიზა კლასიკის ბარათის საერთაშორისო სტოპ სიაში ჩასმა ხორციელდება მხოლოდ ვიზას მიერ წინასწარ გრაფიკით განსაზღვრული თარიღების შესაბამისად. მითითებული გრაფიკის შესახებ ინფორმაცია მოთხოვნის შემთხვევაში მიეწოდება კლიენტს. ბარათის სტოპ სიაში ჩასმა არ განხორციელდება, თუ კლიენტს ამ მომენტისათვის ანგარიშზე არ ექნება ბარათის საერთაშორისო სტოპ სიაში ჩასმის საკომისიო თანხა;
- 3.18.10. ადგილობრივი სტოპ-სია უზრუნველყოფს ბარათის ბლოკირებას მხოლოდ ავტორიზებული ტრანზაქციებისათვის;
- 3.18.11. ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში კლიენტი პასუხისმგებელია ადგილობრივ სტოპ-სიაში ბლოკირებულ ბარათზე განხორციელებულ არაავტორიზებულ ტრანზაქცია(ებ)ზე;
- 3.18.12. კლიენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს ბლოკირებულ ბარათზე ბლოკირების პერიოდში განხორციელებული არაავტორიზებული ტრანზაქცია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. არაავტორიზებული ტრანზაქციის შესრულებიდან 40 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესრულებიდან 180 დღის განმავლობაში (საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ კანონით გათვალისწინებული წესი). გარკვეულ შემთხვევებში ბანკმა შესაძლოა მოითხოვოს და კლიენტი ვალდებულია წარმოადგინოს: ქვითარი, ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული დასტური, შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი გაპროტესტებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით.
- 3.18.13. ბანკი უფლებამოსილია, გადასცეს შესაბამის მესამე მხარეს ინფორმაცია ბარათის / პინ-კოდის დაკარგვის, მოპარვის ან უკანონოდ გამოყენების შესახებ;
- 3.18.14. კლიენტის/ბარათის მოსარგებლის მიერ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დაბლოკოს პლასტიკური ბარათ(ებ)ი ნებისმიერ დროს; ბლოკირების პერიოდში კლიენტი არ თავისუფლდება საბარათე ანგარიშის მომსახურების საკომისიოს გადახდისაგან;
- 3.18.15. ბანკს უფლება აქვს, დაბლოკოს ბარათი კლიენტის თანხმობის გარეშე ნებისმიერი ვადით იმ შემთხვევაში, თუ გაუჩნდება საფუძვლიანი/დასაბუთებული ეჭვი ბარათის მემვეობით არაავტორიზებული ან საეჭვო ოპერაციების განხორციელების შესახებ;
- 3.18.16. ბარათი იბლოკება, თუ კლიენტის საბანკო ანგარიშების მიმართ გამოყენებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამავე მოთხოვნილი უზრუნველყოფის ფარგლების შესაბამისად.

3.19. ბარათი გაუქმდება თუ:

- 3.19.1. ამოიწურა ბარათის მოქმედების ვადა ბარათზე მითითებული თვის ბოლო რიცხვში;
- 3.19.2. დახურულია საბარათე ანგარიში;
- 3.19.3. კლიენტმა / ბარათის მოსარგებლემ არ აიღო ბარათი მისი შეკვეთიდან ან ბანკომატში დაკავებიდან 3 თვის განმავლობაში.

4. მომსახურების ტარიფი

- 4.1. მომსახურების ტარიფები და ბარათის ლიმიტები განსაზღვრულია ბარათის კონკრეტული ტიპების მიხედვით ბანკის მიერ.
- 4.2. ინფორმაცია ბარათით მომსახურების ტარიფების, ბანკომატის საშუალებით თანხის განაღდების, პოს-ტერმინალით/ინტერნეტით შესრულებული გადახდების (ხარჯვის) ლიმიტების, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის და სხვა პირობების შესახებ ხელმისაწვდომია ბანკის სერვის ცენტრებში და განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.finca.ge.
- 4.3. ბანკი უფლებას იტოვებს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები მომსახურების ტარიფებში / ლიმიტებში. ბანკი მომსახურების ტარიფების / ლიმიტების შესახებ ცვლილებამდე 30 დღით ადრე უზრუნველყოფს ბანკის ოფიციალურ გვერდზე - www.finca.ge და [ბანკის ოფისებში](http://www.finca.ge) ინფორმაციის განთავსებას. ამავე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ ცვლილება შევა ძალაში. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ წყვეტს ხელშეკრულებას/არ შეატყობინებს ბანკს, რომ არ ეთანხმება, ცვლილებები/დამატებები ჩაითვლება კლიენტის/ბარათის მოსარგებლის მიერ მიღებულად.
- 4.4. ბანკს არ აქვს შეტყობინების ვალდებულება, როდესაც ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ.

4.5. თუ კლიენტს ბანკისთვის უკვე გადახდილი აქვს მომსახურების საკომისიო, მაგრამ შემდეგ კლიენტი აუქმებს უკვე არჩეულ მომსახურებას, გადახდილი თანხა უკან არ დაუბრუნდება.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ბანკი არ არის პასუხისმგებელი:

- 5.1.1. ტრანზაქციების განხორციელებაზე, ბარათის დაკარგვის / მოპარვის ფაქტის ბანკისათვის არ შეტყობინების ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში;
- 5.1.2. სხვა სახის არასანქცირებული გამოყენებისათვის იმ ფაქტების გამო, რომლებიც კლიენტის / ბარათის მოსარგებლის მიზეზით არის გამოწვეული;
- 5.1.3. ცრუ სატელეფონო შეტყობინების შედეგად ბარათის ბლოკირებაზე;
- 5.1.4. ბარათის დაბლოკვით გამოწვეულ შედეგებზე;
- 5.1.5. მომსახურების შესრულების ხანგრძლივობაზე, თუ დაყოვნება განპირობებულია იმით, რომ ბანკის მიერ დავალებების შესრულება დამოკიდებულია სხვადასხვა ტექნოლოგიაზე, რომელსაც ბანკს მესამე პირები აწვდიან, ასევე, ტექნიკური ხარვეზით გამოწვეულ დაყოვნებაზე;
- 5.1.6. ბარათის სტოპ სიაში ჩასმამდე განხორციელებულ არაავტორიზებულ ოპერაციებზე;
- 5.1.7. ბარათის მეშვეობით ჩატარებული ოპერაციის კანონიერებაზე;
- 5.1.8. კლიენტის / ბარათის მოსარგებლის მხრიდან უსაფრთხოების მოთხოვნების განზრახ ან გაუფრთხილებელი დარღვევის და ფორსმაჟორული მდგომარეობაში დავალებების შესრულების დროს;
- 5.1.9. კლიენტის / ბარათის მოსარგებლის ან მესამე პირების მიზეზით ბარათის სხვადასხვა სახის მექანიკური დაზიანების შემთხვევებში.
- 5.1.10. ბანკი პასუხს არ აგებს მის მიერ შეთავაზებულ უსაფრთხოების ზომაზე კლიენტის მიერ უარის თქმის შემთხვევაში დამდგარი შედეგისთვის. ასეთ შემთხვევაში უსაფრთხოების ზომაზე უარის თქმის შედეგად დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებელია კლიენტი.

5.2. მხარეები ვალდებული არიან მათ შორის დადებული და მოწესრიგებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე უზრუნველყონ ყველა შესაძლებლობა ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის შესახებ.

5.3. კლიენტი/ბარათის მოსარგებლე, წინამდებარე და ბანკთან დადებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობებით, პასუხისმგებელია:

- 5.3.1. განხორციელებულ ოპერაციებზე;
 - 5.3.2. სხვადასხვა საგადახდო საშუალებების და ამავე სერვისის მიწოდებულების შერჩევასა და გამოყენებაზე;
 - 5.3.3. მიწოდებული რეკვიზიტების სისწორისა და სისრულისთვის (მათ შორის სავალდებულოა პირადობის მოწმობა ან/და პასპორტი და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრულ საბუთები);
 - 5.3.4. ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე.
- 5.4. კლიენტი / ბარათის მოსარგებლე ყოველ ჯერზე უნდა დარწმუნდეს, რომ პინ-კოდის შეყვანისას არ ირღვევა მისი საიდუმლოება, აგრეთვე ყურადღება მიაქციოს ობიექტის გარეგნულ მხარესაც, მაგალითად დარწმუნდეს ზედმეტი მოწყობილობების არარსებობაში.

5.5. ბანკი, წინამდებარე და ბანკთან დადებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობებით, პასუხისმგებელია:

- 5.5.1. 24 საათიან დისტანციურ მომსახურებაზე;
 - 5.5.2. მითითების მიხედვით ვალუტის პრიორიტეტების განსაზღვრაზე;
 - 5.5.3. დალუქულ კონვერტში მოთავსებული პინ-კოდის გადაცემაზე;
 - 5.5.4. ბარათების დაბლოკვა / განბლოკვაზე და სტოპ სიაში ჩასმაზე;
 - 5.5.5. მიიღოს ყველა შესაძლო ზომა ბარათის/საგადახდო ინსტრუმენტის დაცულობისა და მისი არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად;
 - 5.5.6. არ გახადოს საგადახდო ინსტრუმენტის პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლები და საშუალებები ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის, გარდა ამ ინსტრუმენტის მფლობელისა;
 - 5.5.7. თუ დადგინდა, რომ გადახდის ოპერაცია არასწორად განხორციელდა ბანკის ბრალეულობით, ვალდებულია გადამხდელს დაუბრუნოს არასწორად გადარიცხული თანხა და ამ ოპერაციასთან დაკავშირებული საკომისიო.
- 5.6. კლიენტი / ბარათის მოსარგებლე აცნობიერებს ასევე, რომ ბარათით მომსახურება დაკავშირებულია და არ ამოიწურება შემდეგი შესაძლო რისკებით:
- 5.6.1. ბარათის და მისი რეკვიზიტების მესამე პირების მხრიდან არამართლზომიერი დაუფლება, მათ შორის კიბერდანაშაული;
 - 5.6.2. პინ-კოდის სხვა პირებისთვის, მათ შორის ნათესავებისთვის, ბანკის თანამშრომლებისთვის, სავაჭრო და მომსახურების ობიექტების თანამშრომლებისთვის გამჟღავნება;

- 5.6.3. პინ-კოდის ჩანიშვნა ან ჩაწერა, მათ შორის რაიმე ფორმით ბარათზე მითითება;
- 5.6.4. პინ-კოდისა და ბარათის ერთად ტარება;
- 5.6.5. პინ-კოდის გამჟღავნება ელ.ფოსტის, ტელეფონისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით;
- 5.6.6. კლიენტი / ბარათის მოსარგებლე პასუხისმგებელია მესამე პირისთვის ბარათის გადაცემის შემთხვევაში ბარათით განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციასა და ბანკის მიმართ წინამდებარე პირობების შესაბამისად წარმოშობილ ყოველგვარ ვალდებულებებზე;
- 5.6.7. არაავტორიზებული წვდომა;
- 5.6.8. კომპიუტერული ვირუსების გავრცელება.
- 5.7. უფრო კონკრეტულად ასევე იხილეთ ბარათთან დაკავშირებული უსაფრთხოების მოთხოვნების და შესაძლო რისკების შესახებ - [ბარათით უსაფრთხოდ სარგებლობის წესები](#), რომელიც განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე finca.ge (ამავე ვებგვერდის შემდეგ განყოფილებებში: პროდუქტები - ანგარიშები და ბარათები - ვიზა კლასიკი/ელექტრონი/საკრედიტო ლიმიტი).

6. მხარეთა ვალდებულებები

- 6.1. კლიენტი / ბარათის მოსარგებლე შესაბამისად ვალდებულია:
 - 6.1.1. ბარათისა და პინ-კოდის გადაცემისთანავე, შეამოწმოს დალუქული კონვერტის მთლიანობა;
 - 6.1.2. ბარათის გაუქმების შემთხვევაში, დააბრუნოს ბარათი;
 - 6.1.3. ბანკს მიაწოდოს სწორი და განახლებული ინფორმაცია, მათ შორის დამატებითი ბარათის დამზადებისას;
 - 6.1.4. ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესები;
 - 6.1.5. არ დაუშვას უცხო პირების მიერ მისი ბარათის გამოყენების შესაძლებლობა;
 - 6.1.6. გამოიჩინოს სათანადო სიფრთხილე მომსახურების ობიექტებში გადახდების წარმოებასთან დაკავშირებით და დარწმუნდეს, რომ მას ნამდვილად სწორედ ამ მომსახურების ობიექტის თანამშრომელი ემსახურება და გადახდა განახორციელოს პირადი თანდასწრებით და არა ბარათის გადაცემით;
 - 6.1.7. საბარათო ანგარიშზე ტრანზაქციების არცნობის შემთხვევაში წერილობით მიმართოს ბანკს ტრანზაქციის შესრულებიდან 60 (სამოცი) საბანკო დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკის მიმართ საჩივრები თანხის დაბრუნებაზე არ მიიღება. კლიენტი / ბარათის მოსარგებლე პასუხისმგებელია ვიზას მიერ პრობლემის გამოძიებასთან დაკავშირებული დამატებითი სახის ფასიან მომსახურებებზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - 6.1.8. შეინახოს ბარათით განხორციელებული ყველა ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ისინი ბანკს;
 - 6.1.9. კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ბარათის მოსარგებლის მიერ მოცემული ხელშეკრულების პირობების დარღვევით გამოწვეული ზიანი, ასეთის არსებობის შემთხვევაში (ან კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით არაავტორიზებული გადახდის ოპერაციის შემთხვევაში);
 - 6.1.10. ბარათის დაკარგვის, მოპარვის ან სხვა სახით კლიენტის / ბარათის მოსარგებლის სურვილის საწინააღმდეგოდ ბარათზე მფლობელობის დაკარგვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ბანკს შეტყობინება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით;
 - 6.1.11. კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაფაროს არასანქცირებული ოვერდრაფტის თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბარათით მომსახურების ტარიფების შესაბამისად;
 - 6.1.12. დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს ბანკს, მის მიერ ბანკისათვის წარდგენილი ნებისმიერი სახის რწმუნებულების/მინდობილობის სტატუსის/შინაარსის შეცვლის, მათ შორის გაუქმების შესახებ, ასევე საკონტაქტო - ინფორმაციის (მათ შორის ტელეფონის ნომრის) შეცვლის, საბანკო მომსახურებისთვის გამოსაყენებელი მოწყობილობის დაკარგვის, საბუთის ნებისმიერი მონაცემის შეცვლის მათ შორის ვადის გასვლის შესახებ - წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი განთავისუფლდება თანამდევი შედეგებისა და პასუხისმგებლობისაგან, მათ შორის დამდგარი ზიანის ანაზღაურებისაგან.
- 6.2. ბანკი ვალდებულია:
 - 6.2.1. მოთხოვნისთანავე მიაწოდოს კლიენტს სრული და ზუსტი ინფორმაცია ბარათით ჩატარებული ოპერაციების შესახებ;
 - 6.2.2. ტრანზაქციის (ოპერაციის) გასაჩივრების შედეგად თანხის დაბრუნების შემთხვევაში, არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა;
 - 6.2.3. ბარათზე ჩარიცხული ფულადი სახსრები ხელმისაწვდომი გახადოს კლიენტისათვის / ბარათის მოსარგებლისთვის;
 - 6.2.4. დაიცვას კლიენტის პერსონალური მონაცემების და საბარათო ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა (ჩატარებული ოპერაციები, ნაშთები და სხვ.). გამოიწვევს წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები ან/და ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საბარათო სისტემაში მონაწილეობასთან;

6.2.5. შესაბამისი სატელეფონო ზარის / განცხადების მიღებისას ლოკალურ სტოპ სიაში შეტანით დაბლოკოს ბარათი.

7. მხარეთა უფლებები

7.1. კლიენტს უფლება აქვს:

- 7.1.1. აწარმოოს ბანკთან ურთიერთობა, როგორც პირადად ისე წარმომადგენლის მეშვეობით სათანადო რწმუნებულების საფუძველზე;
- 7.1.2. ბარათების დამზადება მოითხოვოს რაოდენობის შეუზღუდავად, ბანკის მიერ განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად;
- 7.1.3. ერთ ანგარიშზე ჰქონდეს რამოდენიმე დაკავშირებული ბარათი;
- 7.1.4. ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დაუბრუნოს ბანკს ბარათი და წერილობით მოითხოვოს მისი გაუქმება;
- 7.1.5. მიიღოს ამონაწერი ანგარიშზე ნაშთისა და განხორციელებული ოპერაციების შესახებ, როგორც ბანკის სერვისცენტრებში ასევე ინტერნეტ/მობაილ ბანკის მეშვეობით (კონკრეტული პირობები იხილეთ ბანკის ვებგვერდზე finca.ge);
- 7.1.6. მოითხოვოს საბარათე ანგარიშთან დაკავშირებული ვალუტის პრიორიტეტის ცვლილება, თუ აღნიშნულ ანგარიშზე თანხა არ არის დაბლოკილი ან/და ანგარიშის სახეობიდან გამომდინარე მოცემული მოქმედების განხორციელება დაშვებულია;
- 7.1.7. ნებისმიერ დროს მოითხოვოს და მიიღოს ბანკისგან ბარათით სარგებლობის ინსტრუქცია და საკომისიოს მოქმედი ტარიფები;
- 7.1.8. კლიენტს შეუძლია მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ დროს შეწყვეტა, რისთვისაც აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების ბანკისათვის გადაცემა და შეწყვეტის მომენტისათვის ბანკის წინაშე არსებულ ვალდებულებათა სრულად შესრულება.

7.2. ბანკს უფლება აქვს:

- 7.2.1. განახორციელოს ტრანზაქციების მონიტორინგი, კერძოდ, აკონტროლოს ბარათით განხორციელებულ ტრანზაქციები სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით;
- 7.2.2. დაბლოკოს ბარათი კლიენტის თანხმობის გარეშე ნებისმიერი ვადით, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ბარათის მეშვეობით არაავტორიზებული/საეჭვო ოპერაციების განხორციელების შესახებ; ბანკს უფლება აქვს, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან ნებისმიერი სხვა ფორმით მიაწოდოს კლიენტს აღნიშნული ინფორმაცია;
- 7.2.3. მოსთხოვოს კლიენტს მისი და ბარათით მოსარგებლე მესამე პირის პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ხოლო მისი წარუდგენლობის შემთხვევაში შეაჩეროს მომსახურება, რაზეც ბანკი პასუხისმგებელი არ არის;
- 7.2.4. კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე განსაზღვროს/შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულებით/პირობებით განსაზღვრული წესით მომსახურებით სარგებლობის საკომისიო ან/და შეცვალოს მოქმედი საკომისიოს ოდენობა;
- 7.2.5. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, საბარათე ანგარიშიდან ჩამოწეროს ბარათის დაკარგვიდან ბანკში შესაბამისი შეტყობინების დაფიქსირებამდე პერიოდში ბარათით ჩატარებული ოპერაციების ექვივალენტი სახსრები;
- 7.2.6. უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, დააწესოს ბანკომატის საშუალებით თანხის განაღდების და პოს-ტერმინალით/ინტერნეტით შესრულებული გადახდების (ხარჯვის) დღიური ლიმიტები;
- 7.2.7. არასანქცირებული ოვერდრაფტის შემთხვევაში, ბანკში არსებული კლიენტის სხვა ანგარიშ(ებ)იდან მიმართოს თანხა, გადახარჯული თანხის დაუყოვნებლივ დასაფარად;
- 7.2.8. არასანქცირებული ოვერდრაფტის წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში დაუფარავობის შემთხვევაში, დაარცხოს პირგასამტეხლო ბარათით მომსახურების ტარიფებით დადგენილი განაკვეთის ოდენობით (არსებობის შემთხვევაში);
- 7.2.9. კლიენტის თანხმობის გარეშე კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილებების ან თავისი გადაწყვეტილებით მაღალრისკიან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან ოპერაციების განხორციელებაზე დააწესოს შეზღუდვები.

8. დავის გადაწყვეტის პროცედურა

8.1 კლიენტს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ა) ზეპირი ფორმით - ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვის ცენტრში წარდგენით ან ცხელი ხაზის (+99532 224 49 49) საშუალებით; ბ) წერილობითი ფორმით - ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვის ცენტრში თავისუფალი ფორმით შედგენილი პრეტენზიის ან შევსებული სპეციალური ფორმის ჩაბარებით (პრეტენზიის წერილობითი სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში, ასევე ელექტრონული ფორმა განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.finca.ge); გ) ელექტრონული ფორმით - ბანკის ელექტრონულ მისამართზე (customer@finca.ge) წერილის გაგზავნით და/ან ფეისბუქის გვერდის გამოყენებით (<https://www.facebook.com/FINCA.ge>) ინფორმაციის მიწოდებით. პრეტენზია უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მისი შინაარსი გასაგები, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს კლიენტს მოსთხოვოს

პრეტენზიის დაზუსტება ან მისი წერილობით წარმოდგენა. პრეტენზიის განხილვის შესახებ დეტალური პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცხელ ხაზზე (+99532 224 49 49). წერილობით პრეტენზიაზე ბანკი კლიენტს გაუგზავნის პასუხს პრეტენზიის აღრიცხვიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში. ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თუ აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება პრეტენზიის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, ბანკი აცნობებს კლიენტს/ბარათით მოსარგებლეს დაგვიანების დასაბუთებულ მიზეზს და საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების და კლიენტის/ბარათით მოსარგებლისათვის გაცნობის ვადას, რომელიც არ იქნება 55 სამუშაო დღეზე მეტი; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს განსაკუთრებული და ობიექტური გარემოებები, რომლის შესახებაც ასევე ეცნობება კლიენტს/ბარათით მოსარგებლეს.

- 8.2 მხარეებს შეუძლიათ კომუნიკაცია იქონიონ შესაბამისი შეთანხმებული ერთი ან რამდენიმე საკომუნიკაციო არხებით: ელექტრონული ფოსტა, მოკლე ტექსტური შეტყობინება, ზეპირი/წერილობითი ფორმა, ელექტრონული საკომუნიკაციო არხი (ვებგვერდი, ინტერნეტბანკინგი) იმის გათვალისწინებით, რომ თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან საკომუნიკაციო არხების გამოყენების შესახებ ინდივიდუალურ შეთანხმების არსებობის შემთხვევაში - უპირატესობა ამ უკანსკელს მიენიჭება.
- 8.3 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყოველგვარი უთანხმოების წარმოქმნის შემთხვევაში, არსებული უთანხმოება შესაძლოა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. უთანხმოების საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც არ მოხერხდება ზემოაღნიშნული გზით, განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, თბილისში დადებულ ხელშეკრულებებთან/შეთანხმებებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს მცხეთის რაიონული სასამართლო, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე დადებულ ხელშეკრულებებთან/შეთანხმებებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს იმ რაიონის/ქალაქის სასამართლო სადაც დაიდო ხელშეკრულება/შეთანხმება. მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის წესი

- 9.1. წინამდებარე ბარათის მომსახურების ზოგადი პირობების ან მისი ნაწილის მოქმედება წყდება:
- 9.1.1. კლიენტს ინიციატივით; კლიენტს უფლება აქვს, შეწყვიტოს ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობა ნებისმიერ დროს ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების იურიდიულ მისამართზე ჩაბარების გზით, მას შემდეგ, რაც დაფარავს შეწყვეტის მომენტში ბანკის წინაშე არსებულ ყველა დავალიანებას/გადასახადს საქართველოს კანონმდებლობით გამომდინარე პროცედურების დაცვით; აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდება ვალდებულებების სრულად დაფარვის ვადით.
- 9.1.2. ბანკის ინიციატივით; ბანკს უფლება აქვს, შეწყვიტოს კლიენტთან სახელშეკრულებო ურთიერთობა მომხმარებლისათვის არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, ბანკს უფლება აქვს, შეწყვიტოს ზოგადი პირობებით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე სახის საბანკო მომსახურების გაწევა მომხმარებლისთვის შეწყვეტის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით, ან ვადის დაუცველად, თუ ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, ბანკს არ ქონდა წინასწარ შეტყობინების შესაძლებლობა. შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს ზეპირი, ელექტრონული (მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან წერილობითი ფორმით.
- 9.1.3. კლიენტის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკის მიერ ვადის დაცვის გარეშე.
- 9.1.4. წინამდებარე ზოგადი პირობებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
- 9.2. წინამდებარე ზოგადი პირობები ძალაშია განუსაზღვრელი ვადით.